# 1 ႠႮႰႨႪႨ

ბზობა «ბ» [ს] წ

2012 ႩႥႨႰႠ

მიქ 11,1-10 (ან.:იო12,12-16); ეს 50,4-7;ფს 21; ფილ 2,6-11; პასიო: მარ 14,1 - 15,47

## სული მხნეა, ხორცი კი უძლური მარ 15,38

იესომ მოისმინა პეტრეს დაპირება, მაგრამ მისთვის ნათელია, რომ პეტრეს მისი შესრულება არ ძალუძს. იესოს გასაყოლად საჭიროა ბევრი ლოცვა, რადგანაც საწინააღმდეგო ცდუნებები მრავალია და ძალზე ძლიერი. ამ ახალი კვირის განმავლობაში გამოვიყენებ ლოცვის სხვადასხვა შესაძლებლობებს, რაც მომეცემა. არ მინდა, პეტრეს მსგავსად, მეც დამემუქროს იესოზე უარის თქმა.

2 ႠႮႰႨႪႨ

დიდი ორშაბათი [II] ი

მოხს.: წმ. ფრანცისკე პაოლელი, მეუდ. † 1507

2012 ႭႰႸႠႡႠႧႨ

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

# გაუმართეს მას პურობა იო 12,2

ლაზარე და მისი დები, მართა და მარიამი, იესოს ვახშმად იწვევენ მისდამი მადლიერების ნიშნად. მართლაც, ლაზარე მკვდარი იყო და იესომ საფლავიდან გამოიხმო იგი. რაოდენი მადლიერება მმართებს მეც იესოსადმი ყოველდღიურად! ევქარისტია ჩვენი მადლობაა, ის სერობაა, რომელზეც იესო ჩვენთან ერთადაა: მან თავად მოგვიხმო ჩვენ!

3 აპრილი

დიდი სამშაბათი [II] ი

2012 სამშაბათი

ეს 49,1-6; ფს ლ 70; იო 13,21-33.36-38

# მე გაქცევ შენ ხალხთა სინათლედ ეს 49,6

მამა ღმერთის მიერ მოვლენილი იესოს — კაცისა და ღმერთის — ამქვეყნიური ცხოვრება ჭეშმარიტი სინათლეა ყოველი ადამიანისა და ხალხისთვის. მისი წინამძღოლობით ადამიანებს უყვართ ერთმანეთი და ერთურთის სიკეთეს ეძიებენ. მის გარეშე სუფევს ის თავკერძობა ხალხებს რომ სტანჯავს.

# 4 აპრილი

დიდი ოთხშაბათი [II] ი

წმ. ისიდორე, ეპ. და ეკლ. მოძ. †636

2012 ოთხშაბათი

ეს 50,4-9; ფს 68; მათ 26,14-25

წმიდა მირონის კურთხევის წირვა მიძინების ტაძარში (თბილისში)

## მოამზადეს პასექი მთ 26,19

იესოს მითითებების შესაბამისად, მოწაფეები პასექის აღსანიშნავად საჭირო სანოვაგეს ამზადებენ: კრავს, სანელებლებს, უფუარ პურს, ღვინოს... იესო აღასრულებს იმას, რასაც ეს აღნიშნავს აღნიშნავს, საკუთარი თავის შეწირვით ღვთის ზვარაკად და სიკვდილიდან სიცოცხლეში გადასასვლელი გზის გახსნით. იგივე ხდება ყოველი ევქარისტიული მსახურებისა და საიდუმლოს აღსრულებისას: ჩვენ ვამზადებთ პურს, წყალს, ზეთს, მაგრამ ამ ნიშნებს მხოლოდ იესო ანიჭებს ძალას თავისი სულის ქმედებით.

# 5 ႠႮႰႨႪႨ

დიდი ხუთშაბათი [ს] თ

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15

უფლის სერობის წირვა

## ბოლომდე შეიყვარა ისინი იო 13,1

რაოდენ დიდია შენი სიკეთე, უფალო იესო! შენ სამარადისოდ ერთგული ხარ, ყველა ვითარებაში ჩვენს გვერდით ხარ: შენი სიტყვით, როცა შენი სახელით ვიკრიბებით, შენი მოყვარული ყოველ ძმასთან ერთად, შენი მღვდელმსახურებით და მათ მიერ აღსრულებული მსახურებით, ევქარისტიით, რომელიც დღეს გვიბოძე. მადლობა, იესო!

# 6 ႠႮႰႨႪႨ

წითელი პარასკევი [ს] წ

2012 ႮႠႰႠႱႩႤႥႨ

ეს 52,13-53,12; ფს 30; ებრ 4,14-16;5,7-9; იო 18,1-19,42

## არ გაუხსნია ბაგე ეს 53,7

წინასწარმეტყველი აღწერს იესოს ქცევას ორი პროცესის დროს, რომლებიც მას მოუწყვეს. იესოს არ უცდია თავის დაცვა, ის ლოცვას განაგრძობდა, საკუთარი თავის დაცვა კი ღმერთს მიანდო. და ღმერთმა იმგვარად შეასრულა მისი თხოვნა, ჩვენ რომ ვერასდროს წარმოვიდგენდით: მან იესო სიკვდილიდან წამოაყენა, მეტიც, დიდებით განადიდა იგი.

7 აპრილი

დიდი შაბათი [ს]

2012 შაბათი

# მან დაგვგლიჯა და თავადვე განგვკურნავს ოს 6,1

ამ წმიდა დღეს ეკლესია იმედის ამ სიტყვას გვაწვდის: გამოცდის შემდეგ შვება გველის, იესოსთან ერთად სიკვდილის შემდეგ — მასთან ერთად მკვდრეთით აღდგომა.

# 8 აპრილი

პასექი უფლის ბრწყინვალე აღდგომისა,
«ბ» [ს] თ

2012 კვირა

საქ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4 (ან.: 1 კორ 5,6-8); იო 20,1-9 (ან.: მარ 16,1-8)

## ჩვენი პასექი, ქრისტე, ჩვენს გამო შეეწირა 1 კორ 5,7

დღეს ღმერთის სიყვარულის საიდუმლოება სრულდება: ძემ თავი შესწირა სრულყოფილი სიყვარულის ქმედებით. ჩვენთვის ეს ნიშნავს „აღდგომას“, ანუ ყოფნის, არსებობის ახალ სახეზე გადასვლას: სიკვდილზე კი აღარ ვართ ორიენტირებულნი, არამედ იმ ახალ სიცოცხლეზე, რომელშიც შეაბიჯა იესომ. ვისაც სწამს, ის სიხარულს აღმოაჩენს. ალელუია!

9 აპრილი

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს]თ

2012 ორშაბათი

საქ 2,14.22-32; ფს 15; მთ 28,8-15

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

# სიხარულით აღმავსებ შენი სახის წინაშე საქ 2,28

ყოველ ადამიანს, ვისაც სწამს იესო, შეუძლია იმედით გაითავისოს ეს სიტყვები. მანაც კი, ვინც ყოველდღიურად განსაცდელშია, იცის, რომ დადგება ნუგეშის ჟამიც, უფლის ერთგული სიყვარულის წყალობით, ვისაც ენდობა და ვისაც ერთ დღეს პირისპირ იხილავს!

# 10 აპრილი

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს]თ

# 2012 სამშაბათი

საქ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

## უთხრეს მას: „ქალო, რად სტირი?“ იო 20,13

ანგელოზებს უკვირთ ატირებული მარიამის ხილვა, რადგანაც მისი ცრემლების მიზეზი მთელი სამყაროსთვის სიხარულის მომტანია! მაგრამ მარიამმა ჯერ არ იცის ეს, იგი ჯერ ვერ აცნობიერებს, რომ მისი უფალი მკვდრეთით აღდგა და მისთვისაც იქცა ახალი სიცოცხლის წყაროდ! ხშირად ჩვენი ტირილი იმის ნიშანია, რომ არ ვიცით, რის გაკეთებას აპირებს ჩვენთვის ღმერთი ან, უკვე რა გაგვიკეთა მან!

11 აპრილი

ოთხშაბათი ბრწყინვალე შვიდდღეულისა [ს]თ
წმ. სტანისლავი, ეპ. და წამ. †1079

2012 ოთხშაბათი

საქ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

# იესო ქრისტეს სახელით, ადექ და გაიარე!“ საქ 3,6

მოციქულებმა იციან, რომ ზეცაში მყოფი იესოს სახელი ძალა და გამარჯვებაა. ისინი ნებისმიერ ვითარებაში მოუხმობენ ამ სახელს და არასდროს რჩებიან გაწბილებულნი. მეც ვისწავლე იესოს სახელის მოხმობა ჩემს ძმებთან ერთად: ის მუდამ მშვიდობისა და სიყვარულის უნარის წყაროა ჩემთვის.

# 12 აპრილი

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს]თ

2012 ხუთშაბათი

საქ 3,11-26; ფს 8; ლკ24,35-48

## თქვენ კი ამის მოწმენი ხართ ლკ 24,48

მადლობა, იესო! მეც ვმოწმობ რომ შენი სახელით ცოდვები მოგვეტევება და ეს იმიტომ, რომ შენი სიცოცხლე და სიკვდილი ღმერთმა მოიწონა: მათში განხორციელდა წმიდა წერილის ყველა დაპირება. შენი ცხოვრება, სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა აღასრულებს ღმერთის სიყვარულს ჩვენდამი, საბრალო ცოდვილებისადმი. გვიყვარხარ და გიგალობთ ალელუიას!

13 აპრილი

პარასკევი ბრწყინვალე შვიდდღეულისა [ს] თ
წმ. მარტინ I, პაპი და წამებული, †655

2012 პარასკევი

საქ 4,1-12; ფს 117; იო 21,1-14

# სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა საქ 4,12

სულიწმიდით აღვსილ პეტრეს შეუძლია ამტკიცოს, რომ მხოლოდ იესოშია მკვდრეთით აღდგომის უეჭველობა. სწორედ მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს დამსახურებით ჩვენ უკვე შეგვიძლია მარადიულ სიცოცხლეში შესვლა, რათა გავთავისუფლდეთ ხორცის მაამობლობისა და კარიერიზმის, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და სექსის მანკიერ ჩვევებში ცხოვრების ფლანგვისგან. იესოში კი ჩვენ უკვე განვიცდით სამოთხის ნაწილს, ღმერთთან თანაზიარებას.

# 14 აპრილი

შაბათი ბრწყ. შვიდღეულისა [ს]თ

## 2012 შაბათი

საქ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

# როცა მოისმინეს, რომ ცოცხალია არ ირწმუნეს მარ 16,11

იესოს მკვდრეთით აღდგომის დაჯერება არ იყო ადვილი მის მოციქულთათვის: ისინი არ ენდობოდნენ ქალს, რომელიც აცხადებდა, რომ იხილა იგი. იესო რამდენჯერმე ეჩვენა მოწაფეებს მკვდრეთით აღმდგარი და ამგვარად განკურნა მათი ურწმუნობა.

გმადლობთ, სულო წმიდავ, რომ გვანიჭებ უნარს, უნახავად ვირწმუნოთ.

# 15 აპრილი

პასექის II კვირადღე, ღმრთაებრივი
გულმოწყალებისა, «ბ» [ს] თ

2012 კვირა

საქ 4,32-35;ფს 117; Iიოან 5,1-6; იო 20,19-31

ივლიტის საკრებულოს დღესასწაული
აღდგომა მართლმადიდებელ ეკლესიაში

## მივიდა იესო და დადგა შუაში, და უთხრა მათ: „მშვიდობა თქვენდა!“ იო 20,19

**აღდგომის საღამოს და რვა დღის შემდეგ იესო წარმოაჩენს თავის უსასრულო გულმოწყალებას. მოწაფეები იყვნენ ჩაკეტილები, შეშინებულები, ერთი მეორეზე ურწმუნოები. რამდენიმე დღით ადრე ისინი გაიქცნენ ზეთისხილის ბაღიდან და მიატოვეს იქ იესო. თუმცა იესო მათ არ საყვედურობს, უბოძებს მათ თავის მათთან და მათთვის ყოფნას, მშვიდობას, ანუ სრულ თანაზიარებას და ყველაზე ურწმუნოს მისი შეხების შესაძლებლობას აძლევს.**

**გულმოწყალე იესო, უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო!**

# 16 აპრილი

აღდ. ყ. II კვირა [II] თ

## 2012 ოთხშაბათი

საქ 4,23-31;ფს 2; იო 3,1-8

## თქვენ ხელახლად უნდა იშვათ იო 3,7

სრული, ჭეშმარიტად ბედნიერი ცხოვრებით გასახარად საჭიროა მივიღოთ ის სიყვარული, რომელსაც მამა ღმერთი ყველას უბოძებს ანუ იესო, მისი ძე. ამისათვის გვმართებს ვიყოთ მდაბალნი, ვაღიაროთ ჩვენი საზღვრები, ჩვენი სიღატაკე, ჩვენთვის ხსნისა და სიყვარულის აუცილებლობა.

# 17 აპრილი

აღდ. ქ. II კვირა [II] თ

# 2012 სამშაბათი

საქ 4,32-37; ფს 92; იო 3,7ბ-15

## ერთი გული და სული ჰქონდათ საქ 4,32

მოდი, მკვდრეთით აღმდგარო იესო, კვლავ ‚მოგვბერე‘ შენი სულიწმიდა, რათა ჩემი ოჯახი, ჩემი საკრებულო, ჩემი სამრევლო იყოს ‚ერთი გულითა და ერთი სულით‘. დამეხმარე ჩემი გასაკეთებელი შევასრულო: შევუნდო, უარი ვთქვა ჩემს შეხედულებებზე, სხვებზე მხოლოდ კარგი ვილაპარაკო..., ვიცხოვრო ახალი სინათლით, შენი მკვდრეთით აღდგომის სინათლით.

# 18 ႠႮႰႨႪႨ

აღდ. ჟ. II კვირა [II] თ

# 2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

საქ 5,17-26; ფს 33; ინ 3,16-21

## ვისაც ის სწამს, არ განიკითხება ინ 3,18

ეს სიტყვა ამგვარად გვესმის: ვისაც იესო სწამს, „უკვე აღარ არის“ განკითხული. მართლაც, ვინც მას მიენდობა, აღარ იმყოფება მამა ღმერთისგან სიშორის სიბნელეში და აღარაა ამ სიბნელის ტყვეობაში: იესოს სიყვარული აჯანსაღებს მის ცხოვრებას, ათავისუფლებს მას მრავალი ბოროტი მიდრეკილებისაგან, მიმართავს მას სიმშვიდისა და სიხარულისკენ, რასაც მამის საყვარელი შვილის ცხოვრება გვაძლევს.

# 19 ႠႮႰႨႪႨ

აღდ. ქ. II კვირა [II] თ

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

საქ 5,27-33; ფს 33; იო3,31-36

## მამას უყვარს ძე და ყველაფერი მას მისცა ხელთ იო 3,35

იესოს, ღვთის ძეს, უყვარს მამა, სიყვარულით უსმენს და მუდამ ემორჩილება მას ყველაფერში, რასაც აკეთებს. ამიტომაც იწონებს მას მამა და ანდობს თავის სასუფეველს სრული უფლებებით. იესო, დაგვეხმარე, რომ ჩვენც მივანიჭოთ მამას სიხარული და განვადიდოთ შენდამი სიყვარულით მორჩილებით!

20 აპრილი

აღდ. ჟ. II კვირა [II] თ

2012 პარასკევი

საქ 5,34-42; ფს 26; იო 6,1-15

## მოაგროვეთ ნარჩენები იო 6,12

ასე მოუწოდებს იესო მოწაფეებს, რომლებიც გაოგნებულები ადევნებენ თვალს ბიჭის მიერ მორთმეული პურის გამრავლებას. ვისაც კვლავაც სურს იმ ‚პურით‘ დაპურება, რომელიც იესოს, სასიცოცხლო პურის, ნიშანია, ეკლესიაში შედის: თორმეტ მოციქულს, რომელთაც აბარია მორჩენილი პურის თორმეტი გოდორი, საკმაოდ აქვთ ის ყველა მათთვის, ვინც ღვთის ძეს უგდებს ყურს.

# 21 აპრილი

აღდ. ქ. II კვირა [II] თ

წმ. ანსელმი, ეპ. და ეკლ.მოძღ. †1109 (მ)

## 2012 შაბათი

საქ 6,1-7; ფს 32; იო 6,16-21

## უკვე ჩამობნელებული იყო იო 6,17

მოწაფეები ვერ ეგუებიან იმას, რომ იესო უარს ამბობს მეფობაზე პურის გამრავლების სასწაულის შემდეგ. ამიტომ მათ გულებშიც სიბნელე ისადგურებს: ისინი თვით იესოს აღიქვამენ მოჩვენებად, აჩრდილად. თავისი გულმოწყალებით, იესოს უყვარს ისინი და ეხმარება მათ ამ სიტყვებით: „ეს მე ვარ, ნუ გეშინიათ“. ამგვარად, იესო სიმხნევეს მატებს მათ და ეხმარება მიაღწიონ იმ ადგილს, საითაც მიემართებოდნენ.

**22 აპრილი**

პასექის III კვირადღე, «ბ» [III] თ

**2012 კვირა**

საქ 3,13-15.17-19; ფს 4; 1იო2,1-5; ლკ24,35-48

## შეხედეთ ჩემს ხელებსა და ჩემს ფეხებს, ეს მე ვარ თვითონ! ლკ 24,39

მკვდრეთით აღმდგარ იესოზე ფიქრისას მახსენდება ერთ-ერთი ნიშანი, რომლის მოცემაც ვთხოვე იესოს, სანამ მისი მიმდევარი გავხდებოდი. იერუსალიმის პირველ ეკლესიაში არსებულის მსგავსი საკრებულოს ხილვა ვითხოვე, რათა მის გვერდითყოფნაში დავრწმუნებულიყავი. მაგრამ ახლა ვიცი, რომ ყოველ ევქარისტიულ თავყრილობაში იესო კვლავაც წარმოგვიდგება, თავისი ჯვარცმის ნიშნებით. მართლაც, ევქარისტიულ თავყრილობაში ძმების ტანჯვა დაბრკოლება როდია, არამედ იესოს ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნის დასტური.

# 23 ႠႮႰႨႪႨ

აღდ. ჟ. III კვირა [III] თ

წმ. გიორგი, წამებული †303
წმ. ადალბერტი, ეპ. და წამ. †997

2012 ႮႰႸႠႡႠႧႨ

საქ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

## როგორ მოვიქცეთ, რომ ღვთის საქმენი ვაკეთოთ? იო 6,28

ამ შეკითხვაზე იესო პასუხობს: „ღვთის საქმე ის არის, რომ ირწმუნოთ იგი, რომელიც მან მოავლინა“. მამა ღმერთი ჩვენგან ელის, რომ ვირწმუნოთ მისი ძე, იესო. ეს რწმენა იქცევა ყოველი კეთილი ქმედების საწყისად და სიცოცხლისა და მშვიდობის წყაროდ.

24 აპრილი

აღდ. ჟ. III კვირა [III] თ

წმ. ფიდელ სიგმარინგენელი, ხუც. წამ.†1622

2012 სამშაბათი

საქ 7,51 - 8,1; ფს 30; იო 6,30-35

# რა ნიშანს იძლევი, რომ დავინახოთ და გერწმუნოთ? იო 6,30

მათ, რომლებმაც იესოს ეს შეკითხვა დაუსვეს, ნანახი ჰქონდათ პურისა და თევზის გამრავლების ნიშანი. თუმცა მათ ეს არ ჰყოფნით. ვინც თავმდაბალი არ არის, მას არასდროს არაფერი ჰყოფნის. ამიტომაც, იესოს პასუხი არ გულისხმობს რაიმე სხვა ნიშანს, არამედ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის მიძღვნას. ვინც იესოს მიიღებს, მას ნიშნებზე მეტი ექნება, ის მარადიულ სიცოცხლეს მიიღებს!

# 25 აპრილი

წმ. მარკოზ მახარობელი, (დ) ს წ

# 2012 ოთხშაბათი

1პეტ 5,5-14; ფს 88; მარ 16,15-20

## შეიმოსეთ თავმდაბლობა 1პეტ 5,5

წმიდა პეტრე ამგვარად მოუწოდებს მორწმუნეებსა და მათ მწყემსებს. თავმდაბლობაში მოიძევება მზადყოფნა ურთიერთმოსმენისთვის, ერთმანეთის განზრახვათა კარგად გასაგებად. ამგვარად, ახალგაზრდები უფრო ფრთხილები იქნებიან, მღვდელმსახურები კი უფრო ყურადღებით დაუკვირდებიან, თუ რა ხერხები და საშუალებებია უფრო შესაფერისი ქრისტიანული ცხოვრების საჭიროებათა შესაბამისად მათ დასამოძღვრად. თავმდაბლობით ყველანი მიიღებენ იესოს ძალას, რათა შეეწინააღმდეგონ მტერს, რომელსაც ჩვენთვის სიცოცხლის წართმევა სურს.

# 26 ႠႮႰႨႪႨ

აღდ. ქ. III კვირა [III] თ

2012 ႾႳႧႸႠႡႠႧႨ

საქ 8,26-40; ფს 65; ინ 6,44-51

## მე ვარ პური სიცოცხლისა იო 6,48

**იესო, მწამს შენი, ჩემო უფალო და ჩემო ღმერთო; შენი სიტყვა ასაზრდოებს ჩემს გულსა და გონებას და განწმედს მათ. შენ ხარ ჩემი ხსნა და მშვიდობა: გმადლობ, იესო!**

# 27 აპრილი

აღდ. ქ. III კვირა [III] თ

2012 პარასკევი

საქ 9,1-20; ფს 116; იო 6,52-59

## ამ პურის მჭამელი საუკუნოდ იცოცხლებს იო 6,58

სწორედ იესო მოგვმართავს ჩვენ ამ სიტყვებით, მას შემდეგ, რაც აცხადებს, რომ ის ზეციდან ბოძებული პურია. იესო, მწამს, რომ შენი მიღებით ვიღებ სრულ სიცოცხლეს, რომელსაც ჩემი გული ელის. მსურს, მუდამ შენთან ერთად ვიყო, სრულად მოგენდო შენ!

# 28 ႠႮႰႨႪႨ

ალდ. ჟ. III კვირა [III] თ

წმ. პეტრე შანელი, ხუც. და წამ. †1841; წმ. ლუი მარი გრინიონ დე მონფორტი, ხუც.†1716; წმ. ჯანა ბერეტა მოლა †1962

2012 ႸႠႡႠႧႨ

საქ 9,31-42; ფს 115; ინ 6,60-69

## თქვენ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც არ სწამთ ინ 6,64

წმიდა წირვაზე, სარევლო შეხვედრებზე დასწრება, საეკლესიო მოძრაობაში მონაწილეობის მიღება, ან საზერმონაზვნო საკრებულოს წევრობა ყოველთვის არ ნიშნავს ცოცხალი რწმენის ქონას, იესოს ჭეშმარიტ მოწაფეობას. ჰოი, სულო წმიდავ, განწმიდე ჩვენი გულები, რათა ერთგული სიყვარულით გავყვეთ იესოს, წმიდანთა მაგალითით!

# 29 აპრილი

პასექის IV კვირადღე, «ბ» [IV] თ

2012 კვირა

საქ 4,8-12; ფსალ 117; 1იო 3,1-2; იო 10,11-18

## მწყემსი კეთილი თავის სულს გასწირავს ცხვართათვის იო 10,11

კეთილი მწყემსი იესოა, მან გაიღო საკუთარი სიცოცხლე ჯვარზე სიკვდილით, რათა ჩვენ გაგვეცნო თუ ვინ იყო მამა და, რათა მივეყვანეთ მასთან. მისი სულით აღძრულნი, ეკლესიაში მრავალნი იქცნენ ჭეშმარიტ „მწყემსებად“ და როგორც გულმოდგინე მოძღვრებმა საკუთარი სიცოცხლეც გასწირეს სამწყსოსთვის. დღეს ვიხსენებთ წმიდა ეკატერინეს, რომელმაც ეკლესიის სიწმიდესა და ერთიანობას შესწირა თავი. გმადლობთ, იესო, მოწმეებისთვის, რომელთაც აღასრულეს თავიანთი „პასექი“ და ახლა შენთან ერთად გალობენ მარადიულ ალელუიას!

30 ႠႮႰႨႪႨ

აღდ. ჟ. IV კვირა [IV] თ

წმ. პიუს V, პაპი †1572;

(17.IV) წმ. ეფრემ დიდი მაწყვერელი

2012 ႭႧႾႸႠႡႠႧႨ

საქ 11,1-18; ფს 41-42; იო10,1-10

# წარმართებსაც მისცა ღმერთმა მონანიება სასიცოცხლოდ საქ 11,18

დღესაც ძალაშია სიხარულის ეს შეძახილი, რომელიც პეტრეს მსმენელებს აღმოხდათ. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი სისუსტის ან მოყვასის უუნარობის წინაშე ფარხმალი დავყაროთ, განვაახლოთ ჩვენი რწმენა მოქცევის ძალისა, რომელიც იესოს სიკვდილსა და მკვდრეთით აღდგომაში და მის ტანჯვაში ჩვენს მონაწილეობაშია და ხელახლა ვპოვებთ სიმამაცესა და სიხარულს